

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №29
2024 წლის 25 დეკემბერი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვალერი ბახტაძე

დანართი

თავი I

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი
ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტი და სხვა ფონდები
I. შემოსავლები	18,368.2	11,974.1	6,394.1	20,959.6	10,845.2	10,114.4	13,483.2	12,492.6	990.6
გადასახადები	9,406.3	9,406.3	-	10,155.2	10,155.2	-	11,952.6	11,952.6	-
გრანტები	8,444.1	2,050.0	6,394.1	10,114.4	-	10,114.4	990.6	-	990.6
სხვა შემოსავლები	517.8	517.8	-	690.0	690.0	-	540.0	540.0	-
II. ხარჯები	11,848.5	10,796.8	1,051.7	13,765.2	12,531.2	1,234.0	14,004.6	13,614.0	390.6
შრომის ანაზღაურება	2,450.6	2,358.2	92.4	2,538.7	2,538.7	-	2,879.9	2,879.9	-
საქონელი და მომსახურება	2,326.9	2,021.1	305.9	2,994.6	2,377.4	617.2	2,649.0	2,574.0	75.0
პროცენტი	18.8	18.8	-	18.6	18.6	-	10.0	10.0	-
სუბსიდიები	5,531.0	5,402.0	129.1	6,245.4	6,073.5	171.9	7,006.6	6,831.0	175.6
გრანტები	13.0	13.0	-	21.0	21.0	-	18.0	18.0	-



სოციალური უზრუნველყოფა	786.2	786.2	-	1,089.2	1,089.2	-	1,013.6	1,013.6	-
სხვა ხარჯები	722.0	197.6	524.3	857.7	412.9	444.9	427.5	287.5	140.0
III. საოპერაციო საღდო	6,519.8	1,177.3	5,342.5	7,194.4	1,686.0	8,880.4	521.4	1,121.4	600.0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,880.0	-	227.9	6,107.9	9,524.1	19.4	9,543.5	572.8	1,172.8
ზრდა	6,299.9	191.9	6,107.9	10,204.1	660.6	9,543.5	1,280.0	680.0	600.0
კლება	419.9	419.9		680.0	680.0		1,852.8	1,852.8	
V. მთლიანი საღდო	639.7	1,405.2	- 765.5	- 2,329.8	- 1,666.6	- 663.2	51.4	51.4	-
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	588.4	1,353.9	- 765.5	- 2,381.2	- 1,718.0	- 663.2	-	-	-
ზრდა	- 765.5	-	- 765.5	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	- 765.5		- 765.5	-			-	-	
კლება	- 1,353.9	- 1,353.9	-	2,381.2	1,718.0	663.2	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	- 1,353.9	- 1,353.9		2,381.2	1,718.0	663.2	-	-	0.00
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 51.3	- 51.3	-	- 51.4	- 51.4	-	- 51.4	- 51.4	-
კლება	51.3	51.3	-	51.4	51.4	-	51.4	51.4	-
საშინაო	51.3	51.3	-	51.4	51.4	-	51.4	51.4	-
სესხები	-			51.4	51.4		51.4	51.4	
სხვა კრედიტორული დავალიანებები	51.3	51.3	-	-			-		
VIII. ბალანსი	0.0	0.0	- 0.0	- 0.0	0.0	-	0.0	0.0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

		2024 წლის გეგმა		2025 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის	
	2023				



დასახელება	წლის ფაქტი			სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	18,788.1	12,394.0	6,394.1	21,639.6	11,525.2	10,114.4	15,336.0	14,345.4	990.6
შემოსავლები	18,368.2	11,974.1	6,394.1	20,959.6	10,845.2	10,114.4	13,483.2	12,492.6	990.6
არაფინანსური აქტივების კლება	419.9	419.9	-	680.0	680.0		1,852.8	1,852.8	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-			-			-		
ვალდებულებების ზრდა	-			-			-		
გადასახდელები	18,199.7	11,040.1	7,159.6	24,020.8	13,243.2	10,777.6	15,336.0	14,345.4	990.6
ხარჯები	11,848.5	10,796.8	1,051.7	13,765.2	12,531.2	1,234.0	14,004.6	13,614.0	390.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,299.9	191.9	6,107.9	10,204.1	660.6	9,543.5	1,280.0	680.0	600.0
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-			-			-		
ვალდეზრების კლება	51.3	51.3	-	51.4	51.4	-	51.4	51.4	-
ნაშთის ცვლილება	588.4	1,353.9	- 765.5	- 2,381.2	- 1,718.0	- 663.2	-	-	-

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები
 ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 13 483.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის



	სავლები				ბიუჯეტის ფონდები			სავლები	ფონდები
შემოსავლები	18,368.2	11,974.1	6,394.1	20,959.6	10,845.2	10,114.4	13,483.2	12,492.6	990.6
გადასახადები	9,406.3	9,406.3	-	10,155.2	10,155.2	-	11,952.6	11,952.6	-
გრანტები	8,444.1	2,050.0	6,394.1	10,114.4	-	10,114.4	990.6	-	990.6
სხვა შემოსავლები	517.8	517.8		690.0	690.0		540.0	540.0	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები
 ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 11 952.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	9,406.3	9,406.3	-	10,155.2	10,155.2	-	11,952.6	11,952.6	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-		-	-		-		
დამატებითი ღირებულების გადასახადი	8,924.0	8,924.0		9,705.2	9,705.20		11,352.6	11,352.6	
ქონების გადასახადი	482.3	482.3	-	450.0	450.0	-	600.0	600.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	312.0	312.0		310.0	310.00		480.0	480.0	
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	7.9	7.9		-	-		-	-	
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-		5.0	5.0		-	-	
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	122.9	122.9		90.0	90.00		80.0	80.0	



არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	39.5	39.5		45.0	45.00		40.0	40.0	

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები
 ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 990.6ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
გრანტები	8,444.1	10,114.4	990.6
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები(ევროკავშირის გრანტი)	623.2	1,922.9	815.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	7,820.9	8,191.5	175.6
სპეციალური ტრანსფერი (საბ. ბიუჯეტიდან დახმარება)	2,050.0	-	-
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	225.0	175.6	175.6
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (სკოლები)	227.4	257.7	-
კაპიტალური ტრანსფერი	4,894.2	7758.2	-
სპეციალური ტრანსფერი	424.2	-	-

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
 ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 540.0 ათასი ლარით:

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	517.8	690.0	540.0
შემოსავლები საკუთრებიდან	198.9	390.0	240.0
პროცენტები	21.9	180.0	40.0
დივიდენდები			-
რენტა	177.0	210.0	200.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	79.4	120.0	130.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	57.4	70.0	80.0
სანებართვო მოსაკრებელი	17.8	35.0	40.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	39.6	35.0	40.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	22.0	50.0	50.0



სანქციები (ჯარიმები და საურავები)	72.5	130.0	110.0
წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრები			
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	167.0	50.0	60.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 14 004.6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	11,848.5	10,796.8	1,051.7	13,765.2	12,531.2	1,234.0	14,004.6	13,614.0	390.6
შრომის ანაზღაურება	2,450.6	2,358.2	92.4	2,538.7	2,538.7	-	2,879.9	2,879.9	-
საქონელი და მომსახურება	2,326.9	2,021.1	305.9	2,994.6	2,377.4	617.2	2,649.0	2,574.0	75.0
პროცენტები	18.8	18.8	-	18.6	18.6	-	10.0	10.0	-
სუბსიდიები	5,531.0	5,402.0	129.1	6,245.4	6,073.5	171.9	7,006.6	6,831.0	175.6
გრანტები	13.0	13.0	-	21.0	21.0	-	18.0	18.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	786.2	786.2	-	1,089.2	1,089.2	-	1,013.6	1,013.6	-
სხვა ხარჯები	722.0	197.6	524.3	852.5	412.9	444.9	427.5	287.5	140.0



მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -572.8 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 1280.0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 1852.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	88.0	295.4	55.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	88.0	295.4	55.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5,645.9	8,158.9	550.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	4,332.2	6,868.1	-
02 02	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	557.8	514.2	-
02 03	გარე განათება	-	7.9	-
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	755.8	637.5	400.0
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	-	-	-
02 06	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	-	-	-
02 07	წყლის სისტემების მოწყობა	-	31.2	-
02 08	სამოქალაქო ბიუჯეტი	-	100.0	150.0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	37.8	22.0	50.0
03 01	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება	4.4	22.0	-
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	32.0	-	50.0
03 02	სასაფლაოების მოვლა პატრონობა	1.4	-	-
04 00	განათლება	58.8	18.9	15.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	12.2	15.0	15.0
04 02	განათლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა და სხვა მიმდინარე ღონისძიებები	38.6	-	-
04 03 01	მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	3.0	-	-
04 03 02	კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესწავლის ხელშეწყობა	5.0	3.0	-
04 03 03	ტექნიკური შემოქმედებითი განათლების ხელშეწყობა	-	0.9	-
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	11.4	322.6	10.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1.2	314.1	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	10.2	8.5	10.0
05 05	კულტურის ღონისძიებები	-	-	-
05 07	კულტურული და სახელოვნებო ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	-	-	-



06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	3.3	3.7	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	3.3	3.7	-
06 03	უფასო კვებით უზრუნველყოფა	-	-	-
07 00	ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა	454.8	1,382.7	600.0
07 01	თვითმმართველობის ქონების დაცვა რეგისტრაცია და შეფასება	-	-	-
07 02	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	-	-	-
07 03	მუნიციპალიტეტის ინტეგრირებული ტერიტორიული განვითარება	454.8	1,382.7	600.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	6,299.9	10,204.1	1,280.0
	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
	არაფინანსური აქტივების კლება	419.9	680.0	1,852.8
	ძირითადი აქტივები	111.9	680.0	1,852.8
	არაწარმოებული აქტივები	308.0	-	-

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რეადაქციით:

ათას ლარში

ფუნქცი ონალური კოდი	დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	4,001.3	5,059.1	5,316.8
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	3,931.2	4,899.1	5,155.4
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	3,931.2	4,899.1	5,155.4
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა			
7.1.1.3	საგარეო ურთიერთობები			
7.1.2	საგარეო ეკონომიკური დახმარება			
7.1.3	საერთო დანიშნულების მომსახურება	-	-	-



7.1.3.3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება			
7.1.4	ფუნდამენტური სამეცნიერო კვლევები			
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	70.1	160.0	161.4
7.1.7	საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადები მთავრობის სხვადასხვა დონეს შორის			
7.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	-	-	-
7.2	თავდაცვა	168.3	-	-
7.2.1	შეიარაღებული ძალები			
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	168.3	-	-
7.2.3	საგარეო სამხედრო დახმარება			
7.2.4	გამოყენებითი კვლევები თავდაცვის სფეროში			
7.2.5	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობათავდაცვის სფეროში			
7.3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	-	-	-
7.3 1	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა			
7.3 2	სახანძრო-სამაშველო სამსახური			
7.3 3	სასამართლოები და პროკურატურა			
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5,599.4	9,333.6	885.0
7.4 1	საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობა	13.7	25.0	25.0
7.4 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა			
7.4 2 1	სოფლის მეურნეობა			
7.4 3	სათბობი და ენერგეტიკა			
7.4 4	სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა			
7.4 5	ტრანსპორტი	4,383.1	6,908.6	40.0
7.4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4,383.1	6,908.6	40.0
7.4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები			
7.4 6	კავშირგაბმულობა			
7.4 7	ეკონომიკის სხვა დარგები			
7.4 8	გამოყენებითი კვლევები ეკონომიკური საქმიანობის სფეროში			
7.4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1,202.5	2,399.9	820.0



7.5	გარემოს დაცვა	1,044.0	1,364.3	1,350.0
7.5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	936.5	1,072.0	1,220.0
7.5 2	ჩამდინარე წყლების მართვა	2.7	212.3	-
7.5 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	104.8	80.0	130.0
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	752.7	739.8	560.0
7.6 1	ბინათმშენებლობა	249.3	133.7	-
7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	-	-	-
7.6 3	წყალმომარაგება		46.0	-
7.6 4	გარე განათება	327.8	370.0	350.0
7.6 5	გამოყენებითი კვლევები საბინაო კომუნალურ მეურნეობაში			
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	175.5	190.0	210.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	153.4	175.6	175.6
7.7 1	სამედიცინო პროდუქცია, მოწყობილობები და აპარატები			
7.7 2	ამბულატორიული მომსახურება			
7.7 3	სავადმყოფოების მომსახურება			
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	153.4	175.6	175.6
7.7 5	გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში			
7.7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	-	-	-
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,512.2	3,095.1	2,748.0
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	404.7	783.9	510.0
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,120.9	1,252.0	1,395.0
7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	41.9	48.0	53.0
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	167.5	205.0	180.0
7.8 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურის სფეროში	777.3	806.1	610.0
7.9	განათლება	2,793.3	3,062.7	3,149.0
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2,047.8	2,315.0	2,590.0
7.9 2	ზოგადი განათლება	-	-	-
7.9 2 1	დაწყებითი ზოგადი განათლება			
7.9 2 2	საბაზო ზოგადი განათლება			
7.9 2 3	საშუალო ზოგადი განათლება			



7.9 6	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	449.4	428.7	194.0
7.9 8	უმალესი განათლება	296.1	319.0	365.0
7 10	სოციალური დაცვა	1,175.2	1,190.6	1,151.6
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	587.4	640.5	601.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	-	0.5	0.5
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	6.0	7.0	6.0
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	197.4	117.4	70.9
7 10 5	უმუშევართა სოციალური დაცვა			
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	-	0.7	0.7
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	380.4	418.5	456.5
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	4.0	6.0	16.0
	სულ	18,199.7	24,020.8	15,336.0

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -51.4 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო -1 375.3 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	6,519.8	7,194.4	- 521.4
მთლიანი სალდო	639.7	- 2,329.8	51.4

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ათას ლარში

დასახელება	2023 წლის ფაქტი	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	588.4	- 2,381.2	-
ზრდა	- 765.5	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	- 765.5	-	-
კლება	- 1,353.9	2,381.2	-
ვალუტა და დეპოზიტი	- 1,353.9	2,381.2	-



მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 51.4 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხონის მუნიციპალიტეტის სასესიო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 102,8 ათას ლარს.

თავი II

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00).

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 575 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	975.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	40.0
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	-
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	20.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	20.0
02 02	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	5.0
02 03	გარე განათება	350.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	350.0
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	430.0
02 04 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია	430.0
02 04 02	შენობა ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია	-
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	-
02 06	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	-
02 07	წყლის სისტემების მოწყობა	-
02 08	სამოქალაქო ბიუჯეტი	150.0



პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას. არასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების რეაბილიტაცია-კაპიტალური შეკეთება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი დაფინანსებით.

ქვეპროგრამა: გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01) ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხონის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების, ტროტუარების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზების მოწყობა. ქვეპროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

ქვეპროგრამა: გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ორმოული დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება, გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკება.

ქვეპროგრამის მიზანია გზებზე მგზავრთა გადაადგილების გამარტივება.

ქვეპროგრამა: საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ნიშნების განთავსება. ზებრა გადასასვლელების მოწყობა, შუქნიშნების მიმდინარე შეკეთება, ვიდეო კამერების მონტაჟი, გზებზე ჩამონაშალის გაწმენდა და სხვადასხვა ღონისძიების გატარება რომელიც მიმართულია მგზავრთა უსაფრთხოდ გადაადგილებისთვის.

ქვეპროგრამა: სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ის ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რომლებიც არჩეული იქნება სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით, საქართველოს მთავრობით გამოყოფილი ლიმიტის 470,0 ათასი ლარის ფარგლებში. პროგრამის მიზანს წარმოადგენს სოფლებში მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული ღონისძიებების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოფელ ძეძილეთის ტერიტორიული ერთეულის სოფლებიდან კვირაში ერთი დღე, მოსახლეობისათვის უფასო ტრანსპორტირებით მომსახურება. (ძეძილეთი-ხონი ძეძილეთი)

ქვეპროგრამა: გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)

ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ხონში და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:

გარეგანათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას.

ათას ლარში

02 03	გარე განათება	350,0
-------	---------------	-------



ქვეპროგრამა: საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი

02 04 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მასშტაბით საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია, მუნიციპალიტეტში განთავსებული სკვერების, სპორტული მოედნების, ბულვარის მოვლა-პატრონობა.

ქვეპროგრამა: შენობა ნაგებობების მშენებლობა- რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 04 02)

პროგრამა მიზნად ისახავს არსებული შენობების რეაბილიტაციას და ახალი შენობების მშენებლობას, რაც უზრუნველყოფს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი სივრცეების ხარისხის გაუმჯობესებას. პროგრამა მოიცავს როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი დონეზე არსებულ შენობებზე სამუშაოების ჩატარებას, რათა გააუმჯობესოს ინფრასტრუქტურა, გაზარდოს უსაფრთხოება და ფუნქციონირება, ასევე მდგრადი გარემოს შექმნას შეუწყოს ხელი.

ქვეპროგრამა: წყლის სისტემების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 07)

პროგრამა გულისხმობს წყლის სისტემების მშენებლობას, განახლებას და გაუმჯობესებას მუნიციპალიტეტში, რომელიც მოიცავს წყლის მიწოდების და წყალგაყვანილობის ქსელების მშენებლობასა და რეაბილიტაციას. მიზანი არის უზრუნველყოს ყველა დასახლებული პუნქტი თანამედროვე და ეფექტური წყლის სისტემებით, რათა უზრუნველყოს მოსახლეობის მუდმივი, უსაფრთხო და სუფთა წყლით მომარაგება.

ქვეპროგრამა: სამოქალაქო ბიუჯეტი (პროგრამული კოდი 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება, ისეთი ინფრასტრუქტურული ღონისძიებები, რომელიც შერჩეული იქნება ქალაქ ხონის მოსახლეობის მიერ.

ქვეპროგრამა ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები.

ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ქ. ხონის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს სთავაზობს თავად შეიმუშაონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრობლემის გადაჭრის გზები და რიგი პროცედურების გავლის შედეგად განსაზღვრონ პრიორიტეტული პროექტები.

მოსალოდნელი შედეგი: ხელშეწყობილია ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობა პრიორიტეტების განსაზღვრის საქმეში, უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში და ქ. ხონში გაუმჯობესებულია ინფრასტრუქტურა.

2025 წელს გამოყოფილი თანხა 150,0 ათასი ლარი.

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

პრიორიტეტი დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00).

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1560,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:



03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,560.0
03 01	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება	1,220.0
03 02	სასაფლაოების მოვლა პატრონობა	210.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	50.0
03 04	ადმინისტრაციული შენობების მოვლა დასუფთავება	80.0

პროგრამა: დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება (პროგრამული კოდი 03 01)

ხონის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლებიდან.

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ხონის მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვის ცენტრი განხორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებასა და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: გორდი, კინჩხა, ხიდი, მათხოჯი, ნახახულევი, კონტუათი, გუბი, კუხი, ახალშენი, ნამაშევი, ივანდიდი, ქუტირი. შეგროვებული ნარჩენები გადის სამტრედიის ნაგავსაყრელზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის სულ მცირე 20 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 2 ნაგავმზიდი ავტომობილი.

დასუფთავების სამსახური უზრუნველყოფს ქალაქის ცენტრალური ნაწილის დაგვა დასუფთავებასა და ყოველდღიურად დამატებით ნარჩენების გატანას.

ქვეპროგრამიდან ასევე ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ახალი ნარგავების დარგვა. პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, გარე განათების ქსელის ტექნიკური მომსახურება (ნათურების შეძენა და შეცვლა) აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში სუფთა და ლამაზი გარემოს შექმნას.

პროგრამა: სასაფლაოების მოვლა პატრონობა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქის 128481კვ/მეტრის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: პირველი უბნის ,მე-3 უბნის (ძველი) ,მე-3 უბნის (ახალი) , ვ. ბახტაძის ქუჩაზე მდებარე, ქარჩხაბის ძველი და ახალი ,მე-4 უბნის,ზ.კაკაბაძის ქუჩაზე მდებარე ქალაქის სასაფლაოები და სოფელ საწულუკიძის სასაფლაო 12126კვ/მეტრი. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 140607კვ/მ.

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ხონის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური უზრუნველყოფს: სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება და შეღებვას; სასაფლაოების გაცეღვით და შეწამვლით სამუშაოების შესრულებას.

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება - სასაფლაოებიდან ნაჩენების გატანა, აღდგომის დრესასწაულთან დაკავშირებით ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოებზე ქვიშის შეტანა, გამხმარი და დაზიანებული ხეების მოჭრა-დამუშავება. პქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგია მოვლილი სასაფლაოები.

ქვეპროგრამა: კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში (პროგრამული კოდი 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი ნაგვის ურნებისა და სხვა ძირითადი საშუალებების შესყიდვა. 2025 წელს დაგეგმილია 30 ერთეული ახალი ნაგვის ურნის შესყიდვა. 2025 წელს გამოყოფილი თანხა 50,0 ათასი ლარი.



პროგრამა: ადმინისტრაციული შენობების მოვლა-დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების მოვლა-დასუფთავება, ელექტრო სისტემებისა და სანტექნიკის შესაკეთებელი სამუშაოები.

მუხლი 15. განათლება

პრიორიტეტი განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 149.0 ათასი ლარი.

განათლება და განათლებული მომავალი თაობის აღზრდა მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად. პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების გაერთიანება პროგრამის განხორციელება და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

04 00	განათლება	3,149.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2,590.0
04 02	განათლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა და სხვა მიმდინარე ღონისძიებები	-
04 03	არაფორმალური განათლება	559.0
04 03 01	მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	265.0
04 03 02	კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესწავლის ხელშეწყობა	100.0
04 03 03	ტექნიკური შემოქმედებითი განათლების ხელშეწყობა	194.0

პროგრამა: სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება.

პროგრამა (პროგრამული კოდი 04 01)

ხონის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითდ პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 20 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 500-მდე ბავშვი. ბავა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 262 პერსონალი, ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბავა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და



აღჭურვა სათანადო ინვენტარით. 2025 წლის ბიუჯეტით დაფინანსება შეადგენს 2590.0 ათას ლარს.

პროგრამა: არაფორმალური განათლება (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამა მოიცავს მრავალპროფილიან საგანმანათლებლო-საადამირობრივ დაწესებულებებს, რომლებიც თავისი სტრუქტურით მრავალი მიმართულებით ემსახურება 6 წლიდან ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდებს. დაწესებულებებში სასწავლო- ადამირობრივითი სამუშაოების ძირითად ფორმას წარმოადგენს საწრეო, სტუდიური და საკლუბო სამუშაოები სადაც ძირითადად ხორციელდება არაფორმალური განათლების მიღება, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც ბავშვებს უქმნიან მოტივაციას, იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით.

ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 04 03 01)

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს: ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი, რომლის ბაზაზე ფუნქციონირებს სამუსიკო, ვოკალური და ქორეოგრაფიული სტუდიები, 8 წრე და 3 კლუბი, მათ შორის: ქართული ხალხური სიმღერებისა და საკრავთა, მხატვრული კითხვისა და ლიტერატურული დაოსტატების, ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის, სამართალმცოდნეობის, გიტარის შემსწავლელი და მხატვრული ტანვარჯიშის წრეები. ფოტო-კინო ხელოვნების, შემეცნებითი და ინტელექტუალური თამაშების, მხარდმცოდნეობისა და ტურიზმის კლუბები. თოჯინებისა და ლიტერატურული თეატრები. ცენტრი წლის განმავლობაში ემსახურება 500 ზე მეტ ბენეფიციარს. 2025 წლის ბიუჯეტით ცენტრს გამოეყოფა 265,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 04 03 02)

ა(ა)იპხონის მუნიციპალიტეტის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი აერთიანებს 2 წრის მიმართულებას, მოსწავლე ახალგაზრდობაში ინგლისური ენისა და კომპიუტერის შესწავლა. სწავლება მიმდინარეობს უფასოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე. დაკომპლექტებულია ძირითადად სოციალურად დაუცველი ბავშვებით. თითოეულ ჯგუფში ირიცხება 6-8 მოსწავლე. სასწავლო კურსის ხანგრძლივობაა კომპიუტერის შემსწავლელ კურსის 3 თვე, ინგლისურის კურსის 1 წელი. გაკვეთილის ხანგრძლივობა ერთი საათი. ჯგუფები კომპლექტდება ტესტირების საფუძველზე. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ საგამოცდო კომისიის მიერ ტარდება გამოცდა და მოსწავლეებს გადაეცემა სერთიფიკატი. ჩარიცხული მოსწავლეთა რაოდენობა სასწავლო წლისთვის დაახლოებით შეადგენს 75 მოსწავლეს.

პროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში კომპიუტერული უნარ-ჩვევების და ინგლისური ენის შესწავლას, მეტი მოზარდის ჩართვას კომპიუტერული უნარ-ჩვევების და ინგლისური ენის გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

2025 წლის ბიუჯეტით ინფორმატიკის სასწავლო ცენტრს გამოეყოფა 100,0 ათასი ლარი

ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 04 03 03)

ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლიც ასევე წარმოადგენს სკოლისგარეშე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც გაერთიანებულია შემდეგი წრეები: ტექნიკური მოდელირების, ახალგაზრდა გამომგონებლების, ქიმია-ლაბორატორიის, ნორჩ ეკოლოგთა, ქიმიური მეწარმეობის საფუძვლების, ფიზიკის, მათემატიკის, ზოგადი უნარების, ინფოტმატიკისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერული მოდელირების, თანამედროვე ტექნოლოგიების, მაკეტირება და ხაზვის, გამოყენებითი ხელოვნების, დიზაინის, ქსოვის, დაწყებითი ტექნიკური მოდელირების, რელიგია და კულტურის, ფოლკლორის, მხატვრული კითხვის, ინგლისური ენის, ლიტერატურული სალონის, რადიოტექნოლოგია და ვიდეოკომუნიკაციის, დებატ კლუბის"თაობათა ცვლა"-ს, აქტიური მოქალაქეების კლუბის, ვაჟთა ვოკალური ჯგუფის, ფოტომოყვარულთა ჯგუფის.

ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობას განუვითაროს ინტერესი საწარმოო საქმიანობის და გამომგონებლობისადმი, ჩამოუყალიბოს ტექნიკურ-შემოქმედებითი აზროვნება, განუმტკიცოს საჯარო სკოლაში მიღებული ცოდნა და დახმარება გაუწიოს



საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დამატებითი საბაზისო ცოდნის მიღებაში, გამოუმუშაოს მაღალი ესთეტიკური კულტურა, ხელი შეუწყოს მათ მოსწავლეების პროფესიულ ორიენტაციას, ასევე დიდი ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდა გამომგონებელთა ჯგუფის წარმატებულ საქმიანობას. 2025 წლის ბიუჯეტით ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლს გამოეყოფა 194.0 ათასი ლარი.

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი
პრიორიტეტი კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2138.0ათასი ლარით.

ათას ლარში

05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	2,138.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	510.0
05 01 02	სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა	460.0
05 01 04	სპორტული ღონისძიებები	50.0
05 02	კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარება	1,135.0
05 02 01	სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	100.0
05 02 02	მუზეუმის ხელშეწყობის პროგრამა	115.0
05 02 03	ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა	200.0
05 02 04	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	380.0
05 02 05	თეატრის განვითარების ხელშეწყობა	340.0
05 03	საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერა	53.0
05 04	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	30.0
05 05	კულტურის ღონისძიებები	260.0
05 06	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	150.0
05 07	კულტურული და სახელოვნებო ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	-

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:



ქვეპროგრამა: სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა აერთიანებს 10 სპორტულ მიმართულებას, ესენია: ფეხბურთი (102 ბავშვი); კალათბურთი (65 ბავშვი); თვისუფალი ჭიდაობა (72 ბავშვი); ჭადრაკი (56 ბავშვი); კრივი (12 ბავშვი); კარატე (25 ბავშვი); ძალოსნობა (36 ბავშვი) ტაეკვანდო (12 ბავშვი) კიკბოსინგი (10 ბავშვი), ფრენბურთი (14 ბავშვი). სასპორტო სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში.

ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის; მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

ქვეპროგრამა: სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამით ხორციელდება ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, როგორიცაა სასკოლო სპორტული ოლიმპიადები, სპორტი ბარიერების გარეშე, საფეხბურთო ჩემპიონატები, როგორც გოგონებს, ასევე ვაჟებს შორის, გამოჩენილი სპორტსმენების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები კალათბურთსა და ფეხბურთში, ქალთა დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები, მუნიციპალური პირველობა ნარდსა და შაშში, სასკოლო ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, წარმატებულ სპორტსმენების, წარმატებული მწვრთნელების და ღვაწლმოსილი სპორტსმენების დაჯლდობა, საერთაშორისო ტურნირებზე ხონელი სპორტსმენების დაფინანსება,

პროგრამა: კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)

პროგრამა გულისხმობს ხონის მუნიციპალიტეტში კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლებას.

მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარების პროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა

ქვეპროგრამა: სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 01)

ა(ა)იპ ხონის სამხატვრო სკოლა ახორციელებს სახელოვნებო სამხატვრო პროგრამას დაწყებითი სამხატვრო განათლების ფარგლებში .მოსწავლეები შეისწავლიან :ხატვას ,ფერწერას,კომპოზიციას, ძერწვას, კერამიკის და ხელოვნების ისტორიის საფუძვლებს. მოსწავლეები სკოლის სრული პროგრამის გავლის შემდეგ, მზად არიან სწავლა გააგრძელონ შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში. მონაწილეობენ ადგილობრივ რეგიონულ და რესპუბლიკურ გამოფენებზე. სწავლის პროცეს უძღვება 7 პედაგოგი, სწავლის ხანგძლივობა 6 წელია,სკოლაში სწავლობს 70-ზე მეტი მოსწავლე. 2025 წლისათვის დაფინანსება შეადგენს 100,0 ათას ლარს.

ქვეპროგრამა: მუზეუმის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 02)

ა(ა)იპ ხონის ისტორიული მუზეუმი აერთიანებს მხარის ისტორიის, პოლიკარპე კაკაბაძის, ირ.აბაშიძისა და საბრძოლო დიდების განყოფილებებს, სულ 22700 მეტი ექსპონატით. ქვეპროგრამის მიზანია გააცნოს ვიზიტორებს კუთხის ისტორია, ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრება და მოღვაწეობა, ახალგაზრდობას ჩაუნერგოს ქვეყნის სიყვარული. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 2000-ს. დაფინანსება 115.0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა: ბიბლიოთეკების განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)

ა(ა)იპ ხონის მთავარი ბიბლიოთეკაში შედის ერთი მთავარი და 15 სასოფლო ბიბლიოთეკა. სასოფლო ბიბლიოთეკები: მათხოჯის ბიბლიოთეკა, გუბის ბიბლიოთეკა, ქუტირის ბიბლიოთეკა, ახალბედისეულის ბიბლიოთეკა, ივანდიდის ბიბლიოთეკა, ნახახულევის ბიბლიოთეკა, დედალაურის ბიბლიოთეკა, გოჩა-ჯიხაიშის ბიბლიოთეკა, გელავერის ბიბლიოთეკა, გორდის ბიბლიოთეკა, კინჩხის ბიბლიოთეკა, კუხის ბიბლიოთეკა, სუხჩის ბიბლიოთეკა, ძეძილეთის ბიბლიოთეკა, ღვედის



ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდი სოფლების ბიბლიოთეკებში შეადგენს 60000-მდე წიგნს და ჟურნალს. ბიბლიოთეკები ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს, წლის განმავლობაში სასოფლო ბიბლიოთეკარებს უტარდებათ ტრენინგ-სემინარი. წიგნით საზოგადოებრივი სარგებლობის უზრუნველყოფას და ყველა თაობის განათლებას ემსახურება ბიბლიოთეკაში ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები: წიგნის პრეზენტაცია და რეკლამა, პოეზიის სადამოები, ლიტერატურული კომპოზიციები, შემეცნებითი შეხვედრები სკოლებთან ერთად, კინოს ჩვენებები, წიგნის დღე, ზღაპრის დღე, ღია კარის დღე ბაღებისა და საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და სხვა. 2025 წლისათვის გამოყოფილი დაფინანსება- 200,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა: სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, აღიზარდოს რაც შეიძლება მეტი კულტურული მსმენელი პროპაგანდა გაუწიოს კლასიკურ მუსიკას, მუნიციპალიტეტის წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. ა(ა)იპ ხონის სამუსიკო სკოლა აერთიანებს 2 განყოფილებას: საფორტეპიანო და საორკესტრო. სამუსიკო სკოლაში სწავლობს 270-ზე მეტი ბავშვი აქედან, საფორტეპიანოზე- 245-მდე ბავშვი და საორკესტროზე-28 ბავშვი. სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები სისტემატიურად მეცადინეობენ მათთვის განსაზღვრულ დღეებში, მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო და სარაიონო ღონისძიებებსა და კონკურსებში. 2025 წლისათვის გამოყოფილი დაფინანსება- 380,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა: თეატრის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05)

ა(ა)იპ ხონის კულტურის ცენტრში გარდა სახალხო თეატრისა გაერთიანებულია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სოფელ მათხოჯის კულტურის სახლი, სოფ.კუხის კლუბი, სოფ. დედალაურის კლუბი, სოფ. კონტუათის კლუბი, სოფ. პატარა ჯიხაიშის კლუბი, სოფ. გოჩა ჯიხაიშის კლუბი. ცენტრში ფუნქციონირებს სასულე ორკესტრი, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, ვოკალური ანსამბლი "პრესტო", იომორისტული ჯგუფი "იპოლიტელები", ლიტერატურული სალონი, ბავშვთა ლიტერატურული წრე, სახალხო თეატრი, ბავშვთა ნიღბების თეატრი, თოჯინების თეატრი. 2025 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 400,0 ათას ლარს.

ცენტრის ძირითადი მიზანია კულტურული და შემოქმედებითი მუშაობა, მუნიციპალიტეტის თეატრალური და კულტურული ტრადიციების აღდგენა , გაცვლითი პროგრამები საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის, მოსწავლეთა ურთიერთდაახლოვება, ხელოვნებისადმი მიდრეკილების გაღვივება, ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა, ადგილობრივ შემოქმედთა შემოქმედების პოპულარიზაცია, ფოლკლორით დაინტერესება.

პროგრამა: საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება გაზეთი „ხონი“-ს გამოშვება თვეში ორჯერ. თითოეული გამოშვების ტირაჟი შეადგენს 500 ცალს.

პროგრამა: ახალგაზრდობის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 04)

პროგრამა ითვალისწინებს ხონის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული გარემოს შექმნას ახალგაზრდების უშუალო მონაწილეობითა და ჩართულობით; ახალგაზრდების მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში; ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების მიწოდებას, რაც გულისხმობს ახალგაზრდებში იმ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისათვის და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისათვის; სპორტული ცხოვრების გააქტიურებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ახალგაზრდების ფიზიკური გაჯანსაღებისა და განვითარების მიზნით, სხვადასხვა პროექტის/პროგრამის შემუშავებასა და მათ რეალიზებას; ახალგაზრდობის სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, წინადადებების მომზადებას, ახალგაზრდული სივრცეების რეაბილიტაციის პროგრამებისა და გეგმების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას; წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობას, წახალისებასა და დაჯილდოებას.

პროგრამა: კულტურის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 05)



პროგრამა ითვალისწინებს ხონის მუნიციპალიტეტში ტრადიციად ქცეულ სახალხო- სადღესასწაულო ღონისძიებების ორგანიზებას. ღონისძიება, რომელიც მრავალი ათეული წლის უკან იღებს სათავეს, ხონში მცხოვრები ყველა ასაკისა და გემოვნების ადამიანზე და მათთვის სასიამოვნო გარემოს შექმნაზეა გათვლილი და მიზნად ისახავს ქართული ტრადიციული კულტურის წარმოჩენასა და პოპულარიზაციას. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასევე ფესტივალების, ლიტერატურულ-შემოქმედებითი სადამოების, საიუბილეო სადამოების ორგანიზებას, კულტურის სფეროში მოღვაწე ღვაწლმოსილ და წარმატებულ ადამიანებთან შეხვედრებს, მათ დაჯილდოება-წახალისებას: სამსახური გეგმავს და ახორციელებს კულტურულ ღონისძიებებს, ახდენს მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყოფს ღონისძიებებში მათ ჩართულობას. ხონის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებთან, შ.შ.მ. პირებთან, მრავალშვილიან ოჯახებთან შეხვედრას და მათი აქტიური ჩართულობის ორგანიზებას სამსახურის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, რაც მიზნად ისახავს მათი გარემოსთან ინტეგრაციას; საახალწლო, საშობაო და სააღდგომო დღეებთან დაკავშირებით სოციალურად შეჭირვებული ოჯახების სასურსათო ნობათით დახმარებს; კულტურული პროექტების თანადაფინანსებას; კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, წარმატებული შემოქმედებითი ჯგუფების და ახალგაზრდების წახალისებას; კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და შენარჩუნებას; გამოჩენილ მომღერლებთან, პოეტებთან, მწერლებთან, შემოქმედებით ჯგუფებთან შეხვედრების ორგანიზებას; ქვეპროგრამა ითვალისწინებს საერთაშორისო და რეგიონულ ფესტივალებში ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების აქტიურ ჩართულობას, რაც ხელს შეუწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას. პერიოდულად ტარდება ხონის სახელოვნებო საერთაშორისო არტ რეზიდენცია, სადაც ადგილობრივ მხატვრებთან ერთად მონაწილეობენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოწვეული ხელოვანები, რომლებიც ეცნობიან ჩვენი ქალაქის კულტურას, ისტორიას, ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს და მრავალფეროვანს ხდის ღონისძიებას. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხონის მუნიციპალიტეტში უცხოელი ტურისტების მოზიდვას და, შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ტურისტული პოტენციალის გაზრდას. პროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა ფოლკლორული ფესტივალის გამართვას, რომელიც მიზნად ისახავს ქართული მრავალხმიანი სიმღერისა და ტრადიციული გალობის განვითარებას, წარმოჩენასა და პოპულარიზაციას, კულტურის სფეროში მოღვაწე ადამიანების, კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით, ტრანსპორტით უზრუნველყოფას.

პროგრამის მიზანია კულტურული ღონისძიებები მეტად იყოს წარმოდგენილი სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულებით - თეატრალური, სამუსიკო, სახვითი, ტრადიციული და სხვ. ყოველივე ეს მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ხონის მუნიციპალიტეტში კულტურის სფეროს განვითარებას, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფს ქვეპროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სახის ღონისძიების განხორციელებას. 2025 წლის ბიუჯეტით გამოიყო 260,0 ათასი ლარი.

პროგრამა: რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 06)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, გამოყოფილი თანხას რელიგიურ ორგანიზაციები მიიღებენ სუბსიდიით. თანხა ძირითადად მოხმარდება ცალკეულ ტაძრებსა და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებს. 2025 წლის ბიუჯეტით გამოიყო 150,0 ათასი ლარი.

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

პრიორიტეტი ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსება განისაზღვროს 1 327.2 ათასი ლარით

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,327.2
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	175.6



06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	175.6
06 01 02	ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია	-
06 01 03	ახალი კორონა ვირუსთან დაკავშირებული ღონისძიებები	-
06 02	სოციალური პროგრამები	776.6
06 02 01	შ.შ.მ პირებთან დაკავშირებული ღონისძიებები	24.0
06 02 02	მრავალშვილიან მშობელზე ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	14.0
06 02 03	100 და მეტი წლის ასაკს მიღწეული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	0.5
06 02 04	სოციალური (ერთჯერადი) დახმარების პროგრამა	-
06 02 05	სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების/ თანადაფინანსების პროგრამა	300.0
06 02 06	ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პირების სამედიცინო მომსახურების დაფინანსება/ თანადაფინანსების პროგრამა	160.0
06 02 07	დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის" სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულ ბენეფიციარებზე ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამა	35.0
06 02 08	მწვავე ლეიკემიით დაავადებული პირების ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამა	-
06 02 09	მშობელთა ზრუნველობამოკლებულ 18 წლამდე ასაკის ბავშვების მეურვეზე/მზრუნველზე და 18 წლის პირზე, რომელსაც ყავდა მეურვე/მზრუნველი ფულადი დახმარების პროგრამა	22.0
06 02 10	მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	21.9
06 02 11	ომის ვეტერანებისა და მასთან გათანაბრებული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	35.0
06 02 12	საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებების დროს დაღუპული პირების ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	6.0
06 02 13	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა დახმარების პროგრამა	100.0
06 02 14	სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებული ბავშვების ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	3.0
06 02 15	ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა	0.7
06 02 16	დაკრძალვის ხარჯი	6.0
06 02 17	წყალმომარაგების ხარჯების ყოველთვიური თანადაფინანსების პროგრამა	32.5
06 02 18	სათბობი შეშით უზრუნველყოფა	-
06 02 19	ცელიაკიით დაავადებული ბავშვების ყოველთვიური ფულადი დახმარების პროგრამა	6.0
06 02 20	სოციალურად დაუცველ პირებზე, რომლებსაც შეეძინათ პირველი შვილი ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამა	10.0
06 03	უფასო კვებით უზრუნველყოფა	375.0



06 03 01	მადლიერების სახლი	180.0
06 03 02	უფასო სასადილო სათნოების სახლი	195.0

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა - (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ქვეპროგრამა: საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ხონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომლის დაფინანსება 2025 წელს შეადგენს 175.6 ათას ლარს.

პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02)

